გაზეთის არსებობის შესახებ ვიცი ზუსტად იმ დროიდან, რაც ჩემი ცხოვრება და საქმე იმერეთის გუბერნიას დაუკავშირდა. ყოველთვის აღფრთოვანებული ვიყავი სამბრადიელი ქურნალისტების განსაკუთრებულ მოტივაციას, ენერჯიას, აქტიურობას, ინიციატივას. ფაქტია, გაზეთმა 85 წელი იარსება და არსებობს! ეს რაიონის ისტორიისთვის ცოცხალი ძეგლია! ფასდაუდებელი არქივი, რომელიც დღესაც სიცოცხლეს აგრძელებს საუკეთესო ქურნალისტების გუნდით, საკუთარ ქალაქზე და რაიონზე შეყვარებული ადამიანების ყოველდღიური მხარდაჭერით. როგორ შეიძლება ასეთ ენთუზიაზმს პატივი არ სცე.

გილოცავთ, “სამბრადიის მაცნეს” ამ სოლიდურ ასაკს!

გილოცავთ ჩემო ძვირფასო, ბატონო ბეჟან, ქეთი, ნინო, თეა, ლევან, ნათია და ყველას, ვინც ამ გაზეთს წლებია სულს უბერავთ, სიტყვას და საქმეს არ აკლებთ, ეფერებით და იბრძვით მისი სიცოცხლისათვის, მისი ჯანმრთელობისათვის. ვამაყობ, რომ მეც ვიყავი “სამბრადიის მაცნეს” მკითხველიც და რეპორტაჟიც. გილოცავთ, როგორც

“უბრალოდ ზეკო” და გილოცავთ, როგორც კოლეგა, როგორც წლები მანძილზე პროფესიულ კავშირში მყოფი თქვენთან და თქვენს რაიონთან, როგორც ყველა თქვენგანის მხარდამჭერი და გულშემატკივარი.

თქვენს გუნდს განსაკუთრებული მოფრთხილება და მოფერება სჭირდება! თქვენ ობიექტური ისტორიის მწერლები ხართ! თქვენ 85 წლის ნამდვილ ყოველდღიურობას უნახავთ მომავალს!

წარმატებები ჩემს საყვარელ გაზეთს და მის კეთილ მფარველებს! მიყვარხართ და ხანგრძლივი სიცოცხლე მინდა გისურვოთ!

ნინო თარგამაძე, საზოგადოებრივი მასშტაბის ახალი და მიმდინარე ამბების ბლოგის პროდუსერი: ჩემმა კოლეგამ და მეგობ-



არმა, თეა ბაბუნაშვილმა შემახსენა, რომ ჩვენი გაზეთის იუბილე ახლოვდება. “ჩვენი გაზეთი” ცოტა ხმამაღალი ნათქვამია ალბათ, მაგრამ ეს გაზეთი ჩემიცაა, იმის მიუხედავად,

რომ მის განვითარებაში წვლილი არ შემიტანია. არც მასთან ერთად გამივლია 85 წლიანი ისტორიიდან თუნდაც ერთი წელი. მხოლოდ რამდენიმე კვირა სტუდენტობისას, როცა “პრაქტიკანტი” ვიყავი “მაცნეში”. უფრო ემოციები მახსოვს იმ დროიდან, ვიდრე პროფესიული “შეგონებები”. რამდენიმე გაცხეტილი, რაც მაშინ მივიღე, სულაც არ იყო პრაქტიკის სავალდებულო ნაწილი, მაგრამ გამიმართლა, რომ არასტანდარტული მასწავლებლები მყავდა. მაღალფარდოვანი ლექციებს არაფერს გვიყვარდა. უბრალოდ, საკუთარ მაგალითზე გვიჩვენებდნენ, რომ ნამდვილი პროფესიონალები არ არიან ქედმაღლები; რომ მათ სირთულეების დირსეულად დაძლევის უნარი აქვთ; რომ ქურნალისტი ნებისმიერ ასაკში და ნებისმიერ პოზიციანზე უნდა იზრდებოდეს; რომ პატივს უნდა სცემდე მკითხველს; უნდა იცოდეს და გიყვარდეს საქმე, რომელსაც აკეთებ.

არ ვიცი, რამდენად კარგი მოსწავლე გამოვდექი, მაგრამ ამდენი წლის შემდეგ, როცა თავად მიწევს დამწვებ ქურნალისტებთან მუშაობა და მათთვის გამოცდილების განზა-

რება, ვცდილობ მახსოვდეს: როგორი მოთმინებით მაკვლავებდა შორეულ 90-იან წლებში ბატონი მიშა ნიკოლეიშვილი, გაზეთის რედაქტორი იყო მაშინ. როგორ მისწორებდა ელემენტარულ შეცდომებს ლევან გაბეჩავა. როგორი კეთილგანწყობილი იყო მთელი რედაქცია ჩემნაირი ახალბედების მიმართ. ვიცი, რომ დღესაც ასეა.

წლებია ტელექურნალისტიკაში ვმუშაობ, მაგრამ თავს მაინც “მწერალ” ქურნალისტად ვთვლი. ეს, ალბათ, ჩემი მშობლიური ქალაქის იმ პატარა რედაქციის დამსახურებაა, სადაც საუკეთესო ადამიანები მუშაობენ. ამ ადამიანების წყალობით ინტერნეტის, ვებგამოცემების, სოციალური ქსელების და ტელეკომუნიკაციების საუკუნეში გაზეთს აქვს თავისი ადგილი, ჰყავს მკითხველი, აქვს ისტორია. დარწმუნებული ვარ, წლების შემდეგაც არაერთ თაობას “მაცნეს” საშუალებით ეყოლება პირველი მკითხველი, გაჰყვება პირველ წარმატებასთან თუ მარცხთან დაკავშირებული პირველი ემოცია.

წარმატებებს გისურვებთ “მაცნელებო”! მკითხველის ნდობა და პროფესიული წინსვლა გქონოდეთ ყოველთვის.

იზა სანიკიძე, ქურნალისტი: ჩე-



მი პირადი ურთიერთობები “სამბრადიის მაცნეს” კოლექტივთან პროფესიონალურს დაეფუძნა. პირველ რიგში, ეს გაზეთი ისტორიას ქმნის. არა მარტო აღწერს, არა მარტო უტოვებს მერე მომავალს, მემატიანე გამოდის თანამედროვე ელექტრონული საშუალებების ფონზეც კი. სიტყვა “ქმნის” შემთხვევით არ მი-თქვამს, რადგან ქურნალისტი დამოკიდებულება ფაქტების მოწოდებაში, გაშუქებაში, დალაგებაში, აქცენტების გაკეთებაში განსაზღვრავს ამ ყველაფერს. მიუხედავად იმისა, არის თუ არა რომელიმე პარტიის პოლიტიკოსის მხარდამჭერი, ქურნალისტი მაინც ობიექტური რჩება ფაქტების შეფასებისას. ეს მისი შინაგანი მოთხოვნაა. ამბობენ, არ არსებობს ახალი, ძველს იმეორებენო, თუ ასეა და ქურნალისტი დირსებაა ის, მისი ერთი ფრაზა, ერთი წინადადება მაინც რომ დაგრჩება. ეს არის ნიჭი და მე თქვენ ასეთებს გიცნობთ. ამას პირადი გამოცდილებიდანაც გეუბნებით. ამიტომაც ქმნით თქვენ ისტორიას და პატივსაცემია თქვენი კოლექტივი. თქვენთან შინაური ვარ. რომ მომენტარება რაღაც სხვა, ჩემი გარემო, რედაქციაში ჩავდივარ. იქ კი, ვიცი, რომ ჩემიანებს ველაპარაკები. ვაფასებ თქ-

# “სამტრედიის მაცნე” 85 წლისაა

ვენს პროფესიონალიზმს, საქმის სიყვარულს, თქვენს ინტელექტს. რედაქციაში ხანდახან კამათსაც შევსწრებივარ. ეს ჩვეული ამბავია, მაგრამ მთავარია ის, რაც სხვა კოლექტივებისგან განსხვავებით – თქვენ ერთი გუნდი ხართ, ერთად აკეთებთ ერთ საქმეს და ერთმანეთის გვერდით ხართ ყოველთვის, როცა ეს საჭიროა.

“სამტრედიის მაცნე” აკადემიური გახვითა! მის შესაქმნელად, და ეს არა მარტო გახვითა, ტელევიზიაშიც ასეა, მარტო ჟურნალისტი არ კმარა, გახვით მთელი კოლექტივი, ოპერატორი, კორექტორები, დამკაბდონებელი, ანუ ყველა ერთად აკეთებს. მიყვარხართ ყველა, მიყვარხართ როგორც ჟურნალისტები, პროფესიონალები და როგორც ჩემები!

ოთარ ჩრდილელი, ჟურნალისტი, პარლამენტარი: “სამტრედიის



ის მაცნე” მე ბავშვობაში გავიცანი. დაახლოებით 30 წელია ემეგობრობთ. მაშინ მას “წინსვლა” ერქვა. მასთან დამეგობრების მიზეზი გახლდათ სამტრედიის “ლოგოტივის” გასვლითი თამაშების ტექსტური ტრანსლაცია, რომელსაც სულმოუთქმელად ვკითხულობდი. სტუდენტობიდან უკვე ამ საერთო სახალხო გახვითის აქტიური ვულუმეატკივარი და მკითხველი ვარ. უამრავ საჭირობოლოტო თემატიკაზე ყოფილა საუბარი, მაღლიერ მკითხველთა მრავალთასიანი არმია ყოველთვის თქვენს გვერდით დგას. მიხარია, რომ ჩემს

საყვარელ რაიონში არის ბეჭდვეური მედიის ტრადიციული ფლაგმანი – “სამტრედიის მაცნე”.

ჩემო ძვირფასებო, გლოცავთ და გლოცავთ დაბადების დღეს! იუბილარებს მინდა გისურვოთ, კვლავ ობიექტურობა, პრინციპულობა, მკითხველთა სიყვარული და შემოქმედებითი თავისუფლება. “სამტრედიის მაცნე” დროს გაუძლო! მადლობა მეგობრებო და წარმატებებს გისურვებთ!

დარეჯან მეფარიშვილი, იურისტი, ჟურნალისტი, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის დეპარტამენტის ხელმძღვანელი:



მივესალმები გახვით “სამტრედიის მაცნეს” რედაქციას და მკითხველებს, ადამიანებს, რომლებმაც იცით სიტყვის თავისუფლების მდელი და ძალა! რედაქციას, ძველი და ახალი თაობის ჟურნალისტებს, თქვენს ერთგულ მკითხველებს, გლოცავთ თქვენთვის უმნიშვნელოვანეს თარიღს და გისურვებთ წარმატებებს. ჩემი ჟურნალისტებში ყოფნის თითქმის 20 წლიანი პერიოდის მანძილზე არაერთ რედაქციასთან და ჟურნალისტთან მქონდა შეხება. ბედნიერი ვარ იმით, რომ გარკვეულ ეტაპზე, ხანმოკლე, მაგრამ დაუვიწყარი ურთიერთობა მქონდა “სამტრედიის მაცნეს” რედაქციასთან. ეს იყო ჩემთვის ძალიან მნიშვნელოვანი პერიოდი, დრო, როცა ამხდა ბავშვობის ოცნება. თქვენ წარმოგიდგენიათ, რას ნიშნავს ახალგაზრდა ადამიანისთვის მიხვიდე რედაქციაში, რომელსაც მხოლოდ “გარედან” “უყურებდი”, კითხულობდი გახვით?! თქვენ წარმოგიდგენიათ, რას ნიშნავს ახ-

ლგაზრდა ადამიანისთვის, გაიცნო ჟურნალისტების ჯგუფი და მათ, მიუხედავად იმისა, რომ ხარ “გარედან”, მივიღონ თბილად? დიახ, მე ვიცი, რომ ეს თქვენი განცდაცაა, ისე როგორც ჩემთვის დაუვიწყარი და უმნიშვნელოვანესი. თქვენ ხართ ის ადამიანები, ვისთვისაც მთავარია სამტრედიის რაიონის პრობლემა, სიხარული თუ ტკივილი. ამიტომ უყვარხართ ყველას და ამიტომ გყავთ მკითხველი! გისურვებთ წარმატებებს, მაღალ პროფესიონალიზმს, ბევრ მკითხველს, არასდროს დაგეკარგოთ ობიექტურობის განცდა.

ნანული ცხვედიანი, ჟურნალისტი: გარედან მაცქერალი ადამი-



ნისთვის გახვითის იუბილე, შეიძლება, მხოლოდ ერთი, უწყინარი, ლამაზი ზეიმი იყოს, მაგრამ ვინც იცის ჟურნალისტის შრომის ფასი და ოდნავ მაინც გაეგება, რა რთულია, სხვადასხვა ხელისუფლების პირობებში აწარმოო საგაზეთო პოლიტიკა, გულწრფელი სიყვარულით მიაყურადო შენი ხალხის მაჯისცემას, ადამიანებს აჩვენო საიხლეები, დააფიქრო ფაქტებსა და მოვლენებზე, სიკეთესა და ბოროტებაზე, სიხარულსა და ტკივილზე, აი, მისთვის 85 წლის გახვითი, ალბათ, განვლილი ცხოვრების მთელი პანორამაა. მრავალი წელია, თვალს ვადევნებ სამტრედიელთა საყვარელი გახვითის, მისი ჟურნალისტების შრომას და შემდგომ, დარწმუნებით ვთქვა, რომ მას არასდროს უღალატნია მკითხველისთვის. ეცვლებოდა მხოლოდ სა-

ხელწოდება, არ ეცვლებოდა ჟურნალისტური პლატფორმა, პუბლიცისტური სიტყვის ძალა. გაუძლო საბჭოური რეჟიმის მარწმუნებაც, ეროვნული მოძრაობის გამოღვივებაც მოესწრო და საზოგადოებრივ-პოლიტიკური კატაკლიზმებიც გამოიარა. პატიოსნად, ერთგულად ეწეოდა თავის ჭაბანს, და აგერ უკვე 85 წლის გადასახედიდან ამბობს მართალ სიტყვას. ამიტომ, უპირველესად, თქვენ გლოცავთ, ჩემო კოლეგებო! და კულოცავ მკითხველსაც – სამტრედიის საზოგადოებას, რომელსაც ყოველთვის ჰყავდა და ჰყავს მაღალი დონის ინტელიგენცია, მოაზროვნე ადამიანების კრებული. მიყვარს სამტრედეა, მიყვარს ჩემი მეუღლის მშობლიური ქალაქი და ამ სიყვარულს მიღრმავებს გახვითიც, რომელსაც დროდადრო ნათესავები მიგზავნიან ხოლმე, ქუთაისში და ამ გზით მუდამ თქვენთან ვარ, თქვენი ერთგული მკითხველის რანგში. ჰოდა, 85 წლის “ბერეაცის” დიდი გამოცდილებით, ახალი მედიის სამანს შეყრილი “ჭაბუკის” შემართებით – სულ გამარჯვებით გველოს, “სამტრედიის მაცნე”!

მანანა თელია, ტელეკომპანია “ზარის” საინფორმაციო სამსახურის უფროსი, ტელეწამყვანი: უპ-



ირველესად გლოცავთ საიუბილეო თარიღს. მეგობრული ურთიერთობები “სამტრედიის მაცნესთან” წლებმა ჩამოგვიფაღებია. ძალიან მომწო-

ნს თქვენი პროფესია, წარმატებებს გისურვებთ ჟურნალისტის რთულ გზაზე შემდგარით. გისურვებთ თავი-



სუფალ, დამოუკიდებელ მედია-სფეროში გემუშაოთ.

სორგა ნიგოლიშვილი, ტელეკომპანია “ზარის” ჟურნალისტი:

სამტრედიის მაცნე” ჩემთვის ნაცნობი და ახლობელი დიდი ხანია არის.

მამჩემი, იორამ ნიგოლიშვილი არაერთი წელია, თქვენი შტატგარეშე

კორესპონდენტი. ბოლო ხუთი წელია მასთან ურთიერთობა არა

მხოლოდ როგორც იორამ ნიგოლიშვილის შეილს, არამედ, როგორც

თქვენს კოლეგას მაქვს. რა თქმა უნდა, მეგობრული ურთიერთობები ჩამოაყალიბა საერთო საქმემ. პატივს ვცემ თქვენს დირექტორს, იგი ძალიან ბევრი კარგი სიახლის წამომწვევია, როგორც ამ გახვითში, ისე

საერთოდ რაიონში. მიხარია, რომ

სხვა რაიონების გახვითებზე

გაცილებით უკეთესია ჩემი “სამტრედიის მაცნე”. გლოცავთ დიდი სიყვარულით, პატივისცემით. კიდევ დიდხანს მენახოთ გახვითით იუბილარები, მე კი არაერთხელ გამეშუქებინოს თქვენი წარმატებები!

## ისე უყვართთ გახვითი

ლევან ბაბუნაშვილი

რაიონული გახვითის იუბილე რომ მარტო რედაქციაში სხვადასხვა დროს მომუშავე ადამიანთა ზეიმი არ იყო, ამაზე “სოციალისტურ შეტევა”-ში, “წინსვლასა” და “სამტრედიის მაცნეში” სხვადასხვა წლებში დაბეჭდილ, ღირსეულ მამულიშვილთა წერილები ნათლად მეტყველებენ.

ამას წინათ, “სამტრედიის მაცნეს” მოახლოებულ იუბილესთან დაკავშირებით რედაქციაში არსებულ მასალებს კიდევ ერთხელ გადავავლე თვალი და...


ჩვენი ყურადღება სასიქადლო მამულიშვილის, საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის, თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთ-ერთი მესამე ირველის, ქართული ენათმეცნიერების პატრიარქის, აკაკი გაბრიელის ძე შანიძის იმ ხელნაწერმა მიიპყრო, რომლითაც სახელგანთქმული მამულიშვილი გახვით “წინსვლას” რედაქციასა და რაიონის მშრომელებს გახვითის ნახევარსაუკუნოვან იუბილეს ულოცავს.

1980 წლის 25 ოქტომბერსაა წერილი დაწერილი, 35 წლის წინ.

“სამტრედიის მაცნეს” 85 წლის იუბილესთან დაკავშირებით, არ უნდა იყოს ინტერესმოკლებული ადარებული მეცნიერის უკვე ისტორიად ქცეული ხელნაწერი კიდევ ერთხელ გაავსაჯაროოთ.

წერილი ერთი კუთხითაცაა მნიშვნელოვანი, ტექსტის ზემოთ, მარცხენა მხარეს იკითხება ციფრი – 1587. რაც იმაზე მიუთითებს, რომ 1980 წლის 1 იანვრიდან 25 ოქტომბრამდე რედაქციაში სხვადასხვა ავტორის 1587 წერილი ინფორმაცია, განცხადება იყო შემოსული.

ასე უყვართთ გახვითი. ასეთივე სიყვარულითაა მოსილი დღესაც.







ოდა. ხუთი წლისამ ალექსანდრე ვახუშტის "ელგუჯა" წაიკითხა. პირველი ლექსიც მასსოვს: "არა, ქოლგას არ დავიჭვრ ხელში". მისი ლექსების პირველი შემფასებელი დღემდე მე ვარ. განსაკუთრებით აღფრთოვანებული ვარ სკოლით, მისი კულტურით, წესრიგით, მაღლობა ყველას ჩემი დის გაზარებისთვის."

ქალბატონი ზოიას დისშვილებისთვის, ნატო და მანანა ცაგურიებისთვის დეიდა ყოველთვის სამაგალითო ადამიანად რჩება.

"ნ წელი, როცა სტუდენტი ვიყავი, მასთან ვცხოვრობდი. ვხედავდი, როგორ ჯდებოდა თავის სამუშაო მაგიდასთან და წერდა. მისი ბევრი ლექსი, რომელიც დღეს აქ იქნა წაითხული, პირ-

პატრიოტიზმს უსვამს ხაზს, რომ პოეტი პატრიოტია თავისი სოფლის და მერე ქვეყნის. სკოლის მატერიალურ-ტექნიკური მომარაგების კოორდინატორის, თემურ ნუცუბიძის განმარტებით, ბევრი პოეტი თავის კერას მხოლოდ წლების შემდეგ უბრუნდება. "ქალბატონი ზოია კი თავიდან აქ არის. მას ძალიან ბევრი ძვირფასი ლექსი აქვს და რაც მთავარია, თავის ქვეყანაზე გულანთებული ქალია. ასეთი ხალხი ბევრი უნდა ჰყავდეს ქვეყანას და მას არასოდეს გაუჭირდება."



ველად მე მოვისმინე, ყოველთვის ვამბობდი, თუ მე ვისწავლე და უნივერსიტეტი დავამთავრე, ზოიასთან ავადმია დავამთავრე-მეთქი, სიყვარულის, სიბოროსი, მეგობრობის, ქალბატონის, დასახლების. ყველაფერ საუკეთესოს ვუსურვებ, საოცარი ქალია."

სოფლის მკვიდრი, ბატონი ზაურ ნუცუბიძე ზოია ვამაყობის შემოქმედებამ

წლების შემდეგ იმ დღეს პირველად შეხვდნენ ერთმანეთს ქალბატონი ზოია და სკოლის რუსული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი ნუნუ ნუცუბიძე. თუმცა, საერთო მეგობრების მეშვეობით ერთმანეთის შესახებ ბევრი იცოდნენ. "განცდა იყო, რომ ელოდები იმ წარსულს... მის პოეზიაში მომწონს როგორ ესაუბრება იგი მამა ღმერთს. ეს ძალიან

როულია, მაგრამ კარგ პასუხებს სცემს. მის სტრუქტურაში იკითხება, რომ ის მორწმუნე ადამიანია და რა თქმა უნდა, სასიამოვნოა."

"როგორც ბატონი თამაზი გვარწმუნებს, დიდი ჯიხაში ნიკო ნიკოლაძის სოფელია, არის სოფელი და ძალია, სადაც თავისი ადგილის დედის სიყვარულს სწავლობენ თუნდაც ყველაზე პატარებმაც კი იციან, ვინ არის ზოია ვამაკიძე. იცნობენ მის საბავშვო ლექსებს". პოეტმა თავისი ლექსით უნდა შეგაყვაროს თავი, - თქვა მან. ქალბატონ ზოიას იმდენი საუკეთესო ლექსი აქვს, ყველას ძალიან გვიყვარს.

პოეზიითა და მხატვრული ლიტერატურით გატაცებული მოსწავლეები ახლო მომავალში კიდევ ერთი პოეტურ საღამოს შესთავაზებენ პოეზიის მოყვარულებს. მას "ბნელ სარდაფში სანთლის შუქზე" ერქმევა. ჩანაფიქრის შესრულებაში, როგორც ყოველთვის, თამაზ მასწავლებელი ეხმარება. სხვანაირად ვერც წარმოუდგენია, რადგან "ბავშვს თუ წიგნი უკავია ხელში და ესაუთუება მას, პოეზია უყვარს, როგორ შეიძლება, ხელი არ შეამშველო".

ღონისძიებით კმაყოფილება გამოთქვა ქალბატონმა მანანა ხაზალიამ: "განსაკუთრებულია ზოია ვამაკიძისთან შეხვედრა, მისი პიროვნების ასე ახლოს გაცნობა ბავშვებისთვის". - დიდ ჯიხაში სსოფლო-სამეურნეო კოლეჯში ისიც ქალბატონ ზოიასთან ერთად მუშაობდა და კარგი სათქმელი არც ელევა პოეტზე.



"დიდ ჯიხაში დაბადებული და გაზრდილი რომ არის, სტიქოლის მიძღვრული ახალგაზრდებისთვის. მაგალითს უწევინებს მომავალ თაობას, რომ ამ კვლევებში აღზრდილი ახალგაზრდები წარმატებულები იქნებიან. წელს ხუთი, ოთხი ვერცხლის და ერთი ოქროს მედალოსანი გვყავდა, მათ ეროვნულ გამოცდებზე გრანტებიც მოიპოვეს. 18-მა ჩვენგან წასულმა მოსწავლემ პრესტიჟულ უმაღლეს სასწავლებელში ჩააბარა. ასეთი შეხვედრა კიდევ ერთი ბიძგი იქნება, მომავალში სხვადასხვა სფეროებში დაყავდნენ და კიდევ უფრო უყვარდეთ პოეზია. ლიტერატურული საღამოები ჩვენ-

ქალბატონი ლილი შონგაძე-ვამაკიძე ზოია ვამაკიძის თანაკლასელია, "არჩევულებრივი სამეგობრო ადამიანია, კარგი პიროვნება, ერთგული, ყველაფერი კარგი მიესადაგება". - პოეტთან გატარებული ბავშვობის წლები გაისვენა ქალბატონმა ლილიმ.

"ღედა სოფელი" პოეზიით სუნიტყავდა იმ დღეს, თავისი შვილის თვალმარგალიტა ლექსებით. ცაცხვის რტოსაც ისევ დაეკიდა ნისლი, პოეტის "ბავშვობის კაბის ნახევი", ყველა ტოტმა კი მზე აისხა, "სიყვარულმა გული შეძრა და ღრუბელთა ზე ასწია"...

# “სამბრაღიის მაცნე” 85 წლისაა

**მილოცვა-წერილი სამბრაღიის ადგილობრივი გაზეთის ბაზრობიდან 85 წლის იუბილესთან დაკავშირებით**

სამბრაღიაში ადგილობრივი გაზეთის გამოსვლიდან 85 წელი გასულა. ეს წლები სხვადასხვა პერიოდში უნდა განვიხილოთ: კომუნისტური და შემდგომი წლები დღევანდლობის ჩათვლით. ყოველ პერიოდს (წლებს) თავისი ხიბლი აქვს. ამ წლების განმავლობაში ქვეყნდობდა სხვადასხვა ადამიანის მიერ მოწოდებული წერილები. ამ პერიოდში გაზეთმა რამდენიმე რედაქტორი შეიცვალა, ზოგი ზეციურ საქართველოდან გადმოგვყურებს, ზოგნი რედაქციიდან წაივლინენ ასაყისა თუ მდგომარეობის გამო. რედაქციაში ათეული წლებია შემორჩა ფოტოგორესპონდენტი ბატონი რომან ბუქია. იგი წლების განმავლობაში მუშაობდა სამბრაღიის მე-3 საშუალო სკოლაში (ახლანდელი № 3 საჯარო სკოლა) ხატვის მასწავლებლად, მეც მასწავლიდა. ათეული წლის განმავლობაში ათეული, ასეული და ათასეულითი ფოტო დაბეჭდილია გაზეთში, ალბათ მათი დათვლაც შეუძლებელია. ერთხელ მეც დაბეჭდრა ერთ-ერთი, საწარმოს თანამშრომლების და თვით საწარმოს შენობა-ნაგებობების ფოტოს გადაღება, რომელიც უმაღლეს დონეზე შეასრულა. მაშინ მაღლობა გადავუხადე, მაგრამ დღესაც მინდა, კიდევ ერთხელ გადავუხადო მაღლობა, დღესას სიცოცხლეს და ჯანმრთელობას ვუსურვებ. ერთ-ერთი შეხვედრისას ბატონმა რომანმა მიხრა: რევაზ, ისეთი ხმა გაქვს შენ ბარიტონი ხარ, ბარიტონი. მე ეს სიტყვები ყოველთვის მასსოვს. ყველა რედაქტორთან მითანამშრომლია, იგულისხმება წერილების გამოქვეყნება, უწინარეს ყოვლისა, გაზეთში "წინსვლა" და შემდგომ "სამბრაღიის მაცნე".

მინდა მივესალმო, იუბილე მივლოცო, ჯანმრთელობა ვუსურვო ყველა ადამიანს, ვისაც უშუალოდ აინიშნულ გაზეთში. არ მინდა, თითოეული მათგანის სახელი და გარი ჩამოვიფარო, ვერც ჩამოვიფარო, იქნებ ვინმე გამოძრჩეს და მე მგონი ასე სჯობს. აგრეთვე, ყველა იმ ადამიანს მივლოცო, ვისაც გაზეთში თუნდაც ერთი წერილი გამოუქვეყნებია. გაზეთთან დაკავშირებით ერთ პერიოდს გავისხეებ საქართველოში, როგორც ე. წ. ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა დაიწყო დღის წესრიგში დაღვა გაზეთის სახელის შეცვლა, იყო სხვადასხვა მოსაზრება. პირადად მე სახელწოდების შეცვლასთან დაკავშირებით უარყოფითი დამოკიდებულება მქონდა. ჩემს უფროს მეგობართან, ზაურ ნუცუბიძესთან ერთად გადავწყვიტე, რომ სახელი "წინსვლა" ახლა მეტად სჭირდებოდა გაზეთს, ვინაიდან, თუ სჭირდებოდა ქვეყანას წინსვლა, დამოუკიდებლობის პირობებში უფრო სჭირდებოდა ჩვენს სამშობლოს. მე მეტს ვერაფერს გეტყვით, დღევანდელი თანამშრომლებო, მკითხველებო, კიდევ ერთხელ თქვენთან ერთად მივლოცავ 85 წლის იუბილეს გაზეთს!

**უღრმესი კატიონცემი, რაჟაზ ვახუშტია**

**მრავალ წელსა მრავალწამიერ!**

"კაცობრიობის ისტორიაში წარსულის თუ თანამედროვეობის ყველა წარმატებულმა, დიადმა ადამიანმა იცოდა და იცის სიტყვის ძალა. ფილოსოფიის ყველა მოძღვარი გვასწავლის, რომ სიტყვის უნდა მოქორწინდეს მხოლოდ სიკეთეს, სიხარულს, სინათლეს და შთაგონებას, ანუ ყველაფერი ის რაც გვსურს რომ გვექნდეს ცხოვრებაში, ვინაიდან, სიტყვა ჩვენს მიერ თქმული, მით უმეტეს პირადად უნდა იქნას, არა თუ გვიან ხდება ჩვენი რეალობა.

როგორი ძალა აქვს სიტყვას? სიტყვებით შეიძლება მიადლო ბევრად უფრო მეტს, ვიდრე ნებისმიერი მატერიალური საშუალებით: შეიძლება შექმნა ან დაანერო, გააერთიანოს ან დაშალოს, დაამყაროს მშვიდობა ან დაიწყო ომი, მოკლა ან განკურნოს...

ყოველდღიურად ადამიანი წარმოიქმნება დაახლოებით ორ ათეულ ათას სიტყვას და იშვიათად, ვინმე ფიქრობდეს, თუ რა გავლენას ახდენენ ისინი ჩვენს ცხოვრებაზე. ყველა თვლის, რომ სიტყვა შედგება ორი ნაწილისაგან: აზრი და ხმა, მაგრამ სინამდვილეში მას გააჩნია მესამე და ყველაზე მთავარი შემადგენელი: ენერგეტიკული იმპულსი! დაიხ, თითოეული სიტყვა დამუშავებულია მძლავრი ენერგეტიკული იმპულსით, რომელიც მართავენ სწორედ ჩვენს ცხოვრებას.

ჩვენი სხეული, სული (ემოციები, განწყობა, გონების მდგომარეობა, ფიზიკური ჯანმრთელობა), პირდაპირ არის დამოკიდებული ჩვენს სიტყვებზე. შემთხვევით არაა, რომ სიტყვის ძალას ხშირად და წარმატებით იყენებენ მედიცინაში (ფსიქოთერაპია, ტრენინგები, პიანოზო...). გამამხივებელი სიტყვებით მიმართავენ დიდი მხედრობის მომავალს წინ შემორებს და სწორედ სიტყვების ძალით აძლიერებდნენ მათში მხნეობას, სიმამაცეს და გამარჯვების რწმენას, ვინაიდან სწორედ სიტყვებში დევს უდიდესი ძალა. ჩვენს მიერ წარმოთქმული თითოეული სიტყვა არის ჩვენი სულის გამოხატვა, ამიტომ უნდა ვიფიქროთ ფრთხილად და ვაგონებოდეთ, თუ რას ვამბობთ. სამყაროსა და მისი მიზიდულობის კანონისთვის არა აქვს მნიშვნელობა, რას გვულისხმობთ ამა თუ იმ სიტყვების წარმოთქმისას, მათთვის მთავარია თავად სიტყვები, რასაც წარმოუთქვამთ.

ყოველდღიურად მილიონობით დაუფიქრებლად ნათქვამი სიტყვა იფრქვევა სამყაროში და ასრულებს დაუნდობელ, სასტიკ სამუშაოს ურთიერთობების, ნდობის, მეგობრობის, სიყვარულის დასანგრევად. ამიტომ, თუ ჩვენ გვინდა ვიფიქროთ ღრმად, გუნდური, წარმატებული ადამიანი, სერიოზულად მოვეკიდოთ იმას, თუ რას ვლაპარაკობთ და ვისწავლით საკუთარი სიტყვების გაკონტროლებას. ეს მოგვცემს საშუალებას ვიმოქმედოთ როგორც საკუთარი, ასევე გარემომყოფების საკეთილდღეოდ. ეს ხომ პირდაპირ კავშირშია ჩვენს ცხოვრებასთან, ჩვენი და ჩვენი შვილების მომავალთან".

ყოველი სიტყვა გამოსული ადამიანის ბაგებიდან, გამოდის არა მარტო ბაგებიდან, არამედ გულიდან. უფალი ამბობს, რომ "ნამეტნავისაგან გულისა იტყვის პირი". ანუ ბაგებიდან გამოდის ის, რაც გულში ადარ ეტყვა. გულიდან გამოსული სიტყვა გულწრფელია და სუფთა.

გულითადად გილოცავთ იუბილეს! 85 წელი არ არის ცოტა გამოცდილების დასაგროვებლად და რა თქმა უნდა საკუთარი სიტყვის სათქმელად თუ მკითხველის სიყვარულის მოსაპოვებლად. სულ სიკეთისა და სიმართლის გზაზე გველოთ.

"ნუ გემინათ კეთილი სიტყვის თქმისა. ნოყიერ ნიადაგზე სიტყვამ შესაძლებელია, მოქმედებაში შეისხას ხორცი და უმდიდრესი მოსავალი მოგვცეს. უნდა ვეცადოთ, ვთქვათ კარგი, კეთილი სიტყვა. სიკეთე გაბედულია. კარგ სიტყვას, რომელშიც სიკეთე ბუდობს, მონათესავე სულელებში სინათლე შეაქვს, ხოლო ბნელ სულელებში სიბნელეს ამხელს". ადამიანის გონებისა და გულიდან გამოსული აზრის ფურცელზე გადმოტანა დიდი ხელოვნება და პასუხისმგებლობაა და ამ პასუხისმგებლობის ღირსეულად დაცვას ვისურვებთ.

მრავალსა წელსა მრავალწამიერ!

**სიმკარუნლოსა და კატიონცემი მოვიტა შიორაგამი**

**გაზეთი "სამბრაღიის მაცნე"!**

მივგარს შენი ფურცლების თეთრი ხავერდი, ჩემი პირველი ლექსების ფეხმოსაკიდი. იუბილეს გილოცავთ, ჩემო მშობლიურ გაზეთო. ვულოცავ შენს ნიჭიერ შემქმნელებს!

**შენი ზოია ვამაკიძე**

**გაზეთი "სამბრაღიის მაცნე" რედაქციას!**

პატივისცემით გილოცავთ გაზეთის 85 წლის იუბილეს. პროფესიულ წარმატებებს, მკითხველთა სიმრავლეს ვისურვებთ!

**ბრანკო პინიუსი**

**ბრანკო პინიუსი**

# “სამტრედიის მაცნე” 85 წლისაა

## იდეალური, იმპერიალი “სამტრედიის მაცნე!”

გაპარულან ქლები.  
თითქმის 40 წელი ვასულა მას შემდეგ, რაც შენს ფურცლებზე ჩემი გვარ-სახელი გამოჩნდა. მოსწავლე ვიყავი მაშინ.

ამ ხნის მანძილზე ურთიერთობა არ ვამიწყვეტია შენთან.  
არ მიწყენ უთუოდ შენობით რომ მოვმართავ, თვით უფალსაც ასე ევედრებიან მორწმუნეები – შენობით...  
მეოთხედი საუკუნე ძალე მიიწურება, ჩემო უფროსო მეგობარო, ვნის მეგლეგო, რაც შენს სამსახურში,  
შენი მსახური ვარ.

ბევრია დროის ამ მანძილზე მოსაგონებელი, ბევრი რამაა ვასახსენებელი.  
მე კი, მე ისევე ისეთივე სიხარულით, პათოსით ვეგებები ყოველ შენ ახალ დაბადებას, ახალ სიცოცხლეს,  
ახალი ნომრის გამოსვლას, როგორც წინათ. სულ სხვაა ვაზეთის მეღანეშეუშრალი ფურცლებიდან საკუთარ  
ნააზრებს, გვარ-სახელს რომ უმზერ.

გაპარულან ქლები...  
შენთვის კი ვერაფერი დაუკლიათ.  
სახელი ბევრჯერ შეიცვალა, თუმცა რწმენისთვის არასოდეს ვიღალატინა. შენი მრევლის – მეთხველის  
სიხარულით ხარობდი და გულს მათი წარუმატებლობა ვიწურავდა.

აღიარება, წარმატებები არასოდეს ყოფილა უცხო შენთვის, ასეა დღესაც. უფლის წყალობით პროფესი-  
აზე უზომოდ შეყვარებული ადამიანები გეხვებიან ვარს ყოველთვის, ისინი ქმნიდნენ შენს სახელოვან  
ისტორიას, ტრადიცია ვრძელდება.

ვასაჭირი?  
ბევრჯერ ყოფილა.  
სიცვი, თუთრად ნათენები ღამეები...  
შენთვის ღალატი კი ახრადაც არავის მოგვსვლია.

რედაქცია – სადაც ყოველი შენი ახალი ნომერი იბადება ჩვენი მეორე ოჯახია, ვაცვითილი ფრანზა,  
თუმცა შენზე უკეთ ვერავინ მიხვდება, რამდენად ვულწრფელიადა ნათქვამი ეს სიტყვები.

წ ნოემბერს მწ წლის ხდები, ჩვენო ღირსეულო, ღამაში იუბილარო. მრგვალი, ნამდვილიად საიუბილეო  
თარიღია, თუმცა, ვანა არსებობს დღე, როცა შენზე საქებარის თქმა ზედმეტად რომ გვეჩვენოს?!

ახალს ვერაფერს გეტყვი იუბილარს.  
უფლისა და შენს წინაშე ვაცხადებ, თავს ბედნიერად მივიჩნევ, იმ გუნდში რომ ვშრომობ, სადაც წინათ  
რთული გზა უწავლიათ ჩვენს ღირსეულ, უფროს კოლეგებს.

შენი არსებობის აისი ყოფილიყოს ღირსეულად განვლილი მწ წელი!  
იუბილეს ვილოცავ შენი უბრალო მსახური და კეთილისმსურველი.  
იმზერძელე, იდეგორძელე “სამტრედიის მაცნე!”

**ლუბან ბაგრაძე**

### იზამილარს გულით ვალოცავ!

ერის სათავეანო ადამიანმა ილია ჭავჭავაძემ 1861 წლის ოქტომბერში დაწერა ლექსი “ჩემს კალამს”, სადაც ვკითხულობთ!  
“ჩემო კალამო, ჩემო კარგო, რად გინდა ტაში,  
რასაც ვმსახურობ მას ერთგულად კვლავ ვემსახუროთ,  
ჩვენ წმინდა სიტყვა უშიშარად მოვფინოთ ხალხში  
ბოროტთ საკლავად – მათ სულთ ხდომის სეირს ვუყუროთ”.

ჩვენი საყვარელი გაზეთი, ჩვენი ოჯახების კეთილი მაცნე 85 წელია გვემსახურება, ტყუილად კი არ უწოდებენ მას ჩვენი  
ცხოვრების უტყუარ სარკეს, უტყუარ მეგობარს, სიხარულისა და ჭირ-ვარამის გამზიარებელს.

85 წლის განმავლობაში ჩვენი რაიონის იუბილარი გაზეთი “სოციალისტური შეტევა”, “წინსვლა”, “სამტრედიის მაცნე”  
დიდ გულისხმიერებას იჩენდა მის ირგვლივ შემოყრებილ მეთხველთა, შტატგარეშე კორესპონდენტებისა და საერთოდ რაიონის  
მშრომელთა მიმართ, მის ყოველ ნომერს მოუთმენლად ელოდა ათასობით მეთხველი და თაყვანისმცემელი.

მე “სოციალისტური შეტევის” ფურცლებზე წერილებს 1947 წლიდან ვაქვეყნებდი და იმ დროს რედაქტორის მოადგილემ,  
ცნობილმა ჟურნალისტმა და კალმოსანმა აკაკი კონრებიემ მორიგი საგაზეთო წერილის რედაქციაში წარდგენისას წარმადგინა  
რედაქტორთან მიხეილ (ჩიტო) რუხაძესთან და მომცეს შტატგარეშე კორესპონდენტის მოწმობა, ეს იყო ჩემთვის უდიდესი  
სიხარული და სტიმული შემდგომი საქმიანობისა.

ჩვენს გაზეთის ყოველთვის ჰყავდა შესანიშნავი კოლექტივი და ამიტომაც იყო მისი ყოველი ნომერი საინტერესო და  
მეთხველიც ეწაფებოდა მას. არ შეიძლება არ მოვიფიქრო აწ გარდაცვლილი ის ღვაწლმოსილი ადამიანები, რომლებიც ქმნიდნენ  
გაზეთის ყოველ ნომერს. მიხეილ რუხაძე, აკაკი კონრებიე, ოთარ ნაფეტვარიძე, გიგლა ხაბეიშვილი, ვალერიანე მეგრელიშვილი,  
დომენტი გოგიტიძე, შორა ჯანჯღავა, შოთა მალაყელიძე, ანზორ გრიგოლია, ზოია კალანდაძე, იური გაბედავა, სოსო ხაჭალია,  
ვაჟა ნიკოლეიშვილი და სხვები.

ამჟამად ჩვენს გაზეთს ჰყავს შესანიშნავი კოპორტა ჟურნალისტებისა და გაზეთიც უფრო შინაარსიანი და მიმზიდველია.  
გაზეთის ყოველ ნომერს ქმნიან და თავს დასტრიალებენ ცნობილი ჟურნალისტები: ქეთევან ჭელიძე, თეა ბაბუნაშვილი, ლევან  
გაბეჩავა, ნათია ნაცვლიშვილი, ნინო ნანიტაშვილი. შპს “სამტრედიის მაცნე” დირექტორს, ნიჭით დაჯილდოებული ადამიანს,  
ბატონ ბეჟან გოგიას უდიდესი ღვაწლი მიუძღვის საგაზეთო საქმის მაღალ დონეზე დაყენების საქმეში. დიდი იმედის მომცემია,  
მრავალმხრივი ნიჭით მაღლმოსილი, გაზეთის ყველაზე ახალგაზრდა თანამშრომელი ჩვენი და ყველასათვის საყვარელი შოთა  
პაპავა.

85 წლის მანძილზე გაზეთის გვერდებზე 350-ზე მეტი წერილი-კორესპონდენცია მაქვს გამოქვეყნებული, რუბრიკაში “მიწა-  
მარჩენალი” პერიოდულად ვაშუქებ რეკომენდაციებს, რეკვა-დარიგებებს ვიძლევი, თუ როგორ მივიღოთ უხვი და მყარი საყვები  
კულტურების მაღალი მოსავალი. მეცნიერების მიღწევათა წარმოებაში და გლეხურ მეურნეობებში დანერგვის გზით, რაც  
აწარმოვა ჩვენი რაიონის პირობებში საქართველოს სახელმწიფო აგარარული უნივერსიტეტის სამტრედიის საცდელი-საყრდენ  
პუნქტმა წლების განმავლობაში.

სულითა და გულით ვულოცავ საყვარელ გაზეთს, მის უნიჭიერეს კოლექტივს სახელოვან იუბილეს, დაარსების 85  
წლისთავს, ვუსურვებ მომავალშიც ყოფილიყოს ახალი, დამოუკიდებელი საქართველოს მშენებელთა მოწინავე რიგებში.

**ბენის კახიანი**  
**გაბაგრაძეში კორესპონდენტი 1947 წლიდან**

### გილოცავთ!

ჩვენი რაიონის სახელოვან გაზეთს, “სამტრედიის მაცნეს”, რომლის ღირსეული წინამორბედები იყვნენ “სოციალი-  
სტური შეტევა” და “წინსვლა”, 2015 წლის 5 ნოემბერს დაარსებიდან 85 წელი უსრულდება.

ამ ღირსსახსოვარი საიუბილეო თარიღის შესრულებას სულითა და გულით ვულოცავ გაზეთ “სამტრედიის მაცნეს”  
დირექტორს, ბატონ ბეჟან გოგიას, მთავარ რედაქტორს, ქალბატონ ქეთევან ჭელიძეს, რედაქციის შემოქმედებითი  
კოლექტივის ყველა მუშაკს, შტატგარეშე კორესპონდენტებსა და გაზეთის მეთხველებს.

ჩვენს საყვარელ გაზეთს ვუსურვებ შემოქმედებით მიღწევებსა და წარმატებებს, ტირაჟის გაზრდასა და მეთხველის  
მომრავლებას!

**კახიანიშვილი ირეა ნინოშვილი**  
**გაბაგრაძეში კორესპონდენტი**

### ჩემი გაცნობა გაზეთ “სამტრედიის მაცნესთან”

საგაზეთო არქივი საკუთარ წარსულს გავხსენებ

ეს საგაზეთო, საკონკურსო ფოტოგრაფიული გაზეთი “სამ-  
ტრედიის მაცნეს” (“წინსვლის”), მაშინდელ ფოტოკორეს-  
პონდენტს ი. შაქარიშვილს ეკუთვნის. ფოტოგრაფიული გაზე-  
თში გამოქვეყნებიდან 46 წელს ითვლის (1969 წ. 27  
მაისი) ფოტოკონკურსმა, როგორც მაშინდელი გაზეთი წე-  
რს, მეთხველთა შორის ცხოველი ინტერესი გამოიწვია.  
ბევრთან ერთად, კონკურსში მეც მივიღე მონაწილეობა.  
ერთი თვის შემდეგ კონკურსის შემჯავებელმა კომისიამ  
ჩემი შერჩეული დასათაურება “სიყვარულს უშენებია” გა-  
მარჯვებულად სცნო. ამ ფაქტმა ძალიან გამახარა. ამას  
მოჰყვა სამხსოვრო საჩუქარი გაზეთის მაშინდელი რედა-  
ქტორის, ბატონ ვაჟა ნიკოლეიშვილის ავტოგრაფით. ამ  
კონკურსში გამარჯვება ჩემთვის პიროვნულად, იმითაც არის  
დასამახსოვრებელი, რომ მან, როგორც იტყვიან, გამიწვია  
ერთგვარი მეგზურობა ამ გაზეთთან და მის რედაქციასთან.  
გაცნობის შემდეგ რედაქციის ხელმძღვანელობამ შემომთ-  
ავაზა გაზეთში თანამშრომლობა, რაც ჩემთვის, როგორც  
არაჟურნალისტისთვის, დიდი პატივი იყო.

ჩემს თანამშრომლობას გაზეთთან უშედეგოდ არ ჩაეუ-  
ლია, მოკლე ხანში გაეხდი, როგორც მაშინ ემახდნენ ამ  
გაზეთის (შტატგარეშე კორესპონდენტი) და შემდეგ, გაზე-  
თის ნდობითა და რეკომენდაციით, – საქართველოს ჟურ-  
ნალისტთა ფედერაციის წევრი, რაც ჩემთვის დიდად საა-  
მაყოა.

გაზეთთან ურთიერთობა დღესაც არ გამიწყვეტია. მახ-  
არებს მისი ბოლო წლების წარმატებები და მჯერა, რომ  
მომავალში იგი კიდევ უფრო წარმატებული იქნება. ამის  
თქმის უფლებას იძლევა ის ნიჭიერი შემოქმედებითი კო-  
ლექტივი, რომელიც დღეს გაზეთის სათავეში უდგას.

არ შეიძლება, არ აღინიშნოს ის დიდი დახმარებები,  
რომელსაც გაზეთთან მუშაობისათვის საჭირო კონსულტ-  
აციების სახით გვიწევდნენ მაშინდელი რედაქციის წამყვან-  
ნი მუშაკები: კორნელი ჩიხლაძე, ოთარ ნაფეტვარიძე, სო-  
სო ხაჭალია, ანზორ გრიგოლია, შოთა მალაყელიძე და  
სხვები.

დღეს ჩვენი რაიონის გაზეთი სახელოვან 85 წლის  
იუბილეს შეიმობს. ჩვენც ვუერთდებით ამ ზეიშს.

კვლავაც სახელოვანი გზით გველოს, ჩვენი სახელოვ-  
ანო გაზეთო!

**ანტონ ბაგრაძე**

**გაბაგრაძე-იხიანი**

**სამტრედიის მაცნის მაცნე**

**გაბაგრაძის წიგნი**

### გაზეთი “სამტრედიის მაცნე” რამდენაა!

სულითა და გულით ვულოცავ ჩვენს საყვარელ გაზეთს  
და მის შემოქმედებით კოლექტივს თავის სახელოვან 85  
წლის იუბილეს. “სამტრედიის მაცნე” ჩვენი რაიონის ღი-  
რსეული ცოცხალი მატანეა. უდიდესია მისი წვლილი  
რაიონის აღმშენებლობის ყველა სფეროში.

რედაქციის თანამშრომელთა გარჯითა და ენთუზიანზ-  
ით იგი ახალ-ახალ წარმატებებს აღწევს თავის საქმიანო-  
ბაში და გვეხმარება დღევანდელ დუხვარ ცხოვრებაში.  
კვლავ ადრინდელ მეთხველთა სიმრავლეს და მრავალტ-  
ირაფიანობას ვუსურვებდი მას მომავალში.

**ანტონ ბაგრაძე**

**სამტრედიის მაცნის მაცნე**

**გაბაგრაძის წიგნი**

### იზამილარს გილოცავთ!

თქვენს გაზეთს იმ დროიდან ვკითხულობ, “სოციალისტური  
შეტევა” რომ ერქვა. მახარებს გაზეთის ყოველი წარმატება.  
სახელოვან იუბილეს ვილოცავთ “სამტრედიის მაცნეს” ნიჭი-  
ერ თანამშრომლებს.

**კახიანიშვილი ვინა კახიანი**

**გაბაგრაძე, ღირსების გილოცავთ**

“სამტრედიის მაცნე” ჩემი საყვარელი გაზეთია, საიმოვნებით,  
საიამაყით ვიფიქრობ იმ წლებს, გაზეთთან რომ ვთანამშრომლობდი.  
მახარებს გაზეთის სასიყვარულო ფურცლები. წარმატებები არ  
მოკლებოდეთ.

იუბილეს ვილოცავთ!

**ალექსანდრა თიშუაძე**

**სამტრედიის მაცნის მაცნე**

**გაბაგრაძის წიგნი**

85 წლის იუბილეს ვულოცავ გაზეთ “სამტრედიის მაცნეს”  
რედაქციას. შემოქმედებით წარმატებებს გისურვებთ, მეგობრებო!

**ნინო ვახუშტაძე**

**გაბაგრაძის მაცნის მაცნე**

**გაბაგრაძის წიგნი**

# „უჩიბნიენ სიცივის ჯამრილობას, საქციენი აზრობს“

ნათია ნაცვლიძე

**“შტერმა კი არ დაგვცა, ჩვენმა საკუთარმა რწმენის დაკარგვამ წაგვადინა, აღარ გვწამდა ჩვენი თავი. უცხოეთი კი ჩვენს თვალში რაღაც უზენაეს ქმნილებად იხატებოდა” – საუკუნის წინ ნიკო ნიკოლაძის, ბუმბერაზი მოაზროვნისა და მოღვაწის ეს სიტყვები დღესაც არ ჭარბავს ელოვარებს. ეს და უამრავი მისეული სიბრძნე, ამოყრებილი მისი შესანიშნავი პუბლიცისტური წერილებიდან შეახსენეს აუდიტორიას მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეებმა მეთვრელთა თეატრის კონფერენციაზე – “დიდი ნიკო – ჩვენი თანამედროვე”, რომელიც მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში ჩატარდა.**



ისევე როგორც აქ გამართულ სხვა ღონისძიებებს, ამჟამადც ბიბლიოთეკის დარბაზს მსმენელი არ აკლდა, რომ იტყვიან, დარბაზში ნემსიც არ ჩაუარდებოდა.

ძირითადი მომხსენებელი ამჟამადც ჩვენი კოლეგა, შესანიშნავი ორატორი, ლევან გაბეჩავა იყო. მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორმა, ლამარა დუნდუამ მისალმების შემდეგ აუდიტორიას განუცხადა, რომ წლეულს შესრულდა ნიკოლაძის დაბადებიდან 172-ე წელი და ისევე, როგორც ყველა მნიშვნელოვან ფაქტსა და მოვლენას, ბიბლიოთეკა ნიკო ნიკოლაძის იუბილესაც ემზადება.

ლევან გაბეჩავამ ვრცლად მიმოიხილა დროს გასწრებული მოაზროვნის, ნიკო ნიკოლაძის მრავალმხრივი და სირთულეებით დატვირთული ბიოგრაფია და აღნიშნა:

“პრეტენზია არ გვაქვს, რომ ამ ერიცხავის, უკიდევანოდ განსწავლული და განათლებული პიროვნების შესახებ ამომწურავად ვისაუბროთ, მაგრამ რამდენადმე შევცდებით, კიდევ ერთხელ მოვუხადოთ ხარკი ამ კაც-სახელმწიფოს, როგორც მას ეძახდნენ. 1917-18 წლებში ის ეროვნული საბჭოს, შემდეგ დამფუძნებელი კრების წევრია, 1918 წლის

სახელმწიფოებრიობის დამოუკიდებლობის აქტსაც აწერდა ხელს.

ჯერ კიდევ მე-19 საუკუნის 80-იან წლებში მან პირველმა ბრძანა, რომ ერთპარტიული მმართველობა დამლუპველი იყო ერისთვის. “ერთსულოვანი, ერთპარტიული საკრებულო – დემა – სხვა არაფერია, თუ არა ცარიელი ქალაქის ფურცელი. საჭიროა მრავალპარტიულობა, კამათი და აზრთა ბრძოლა”. – ამბობდა იგი. ნიკოს სიდიადე იმამი-ცაა, რომ ბრძანებდა: “ქვეყნის პოლიტიკური დამოუკიდებლობა წარმოუდგენელია სახელმწიფოს ეკონომიკური დამოუკიდებლობის გარეშე. საქართველო რომ მყარად მდგარიყო ფეხზე, მისი აზ-



ნა, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლების მოსწავლეები ინტენსიურად აღარ სტუმრობენ მუზეუმს. “მეც უფრო მეტად რომ ვესწრებოდე თქვენს შეკრებებს, კარგი იქნება. წლეულს ოღონდ გურამიშვილს 160 წელი შეუსრულდა, ეს ქალბატონი იყო მე-19 საუკუნის საქართველოში პირველი ქალი მასწავლებელი და პირველი ქართველი ქალი, რომელმაც უძაღლესი, განათლება მიიღო საზღვარგარეთ, რაც მთავარია, ნიკოლაძეების ოჯახს უდიდესი როლი აქვს შესრულებული ჯიხანიშვილი განათლების საქმეში. ოღონდ დიდ ჯიხანიშვილსა და გიმნაზია გახსნა, მთელს რუსეთის იმპე-

კური განყოფილების ხელმძღვანელმა აბელა ლეგაშვილმა.

თავის გამოსვლაში ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმის დირექტორმა, ლია ბიბილეიშვილმა გულისტკივილით აღნიშ-

ნა, რომ ჩვენი მუნიციპალიტეტის სკოლების მოსწავლეები ინტენსიურად აღარ სტუმრობენ მუზეუმს. “მეც უფრო მეტად რომ ვესწრებოდე თქვენს შეკრებებს, კარგი იქნება. წლეულს ოღონდ გურამიშვილს 160 წელი შეუსრულდა, ეს ქალბატონი იყო მე-19 საუკუნის საქართველოში პირველი ქალი მასწავლებელი და პირველი ქართველი ქალი, რომელმაც უძაღლესი, განათლება მიიღო საზღვარგარეთ, რაც მთავარია, ნიკოლაძეების ოჯახს უდიდესი როლი აქვს შესრულებული ჯიხანიშვილი განათლების საქმეში. ოღონდ დიდ ჯიხანიშვილსა და გიმნაზია გახსნა, მთელს რუსეთის იმპე-



რიაში ერთ-ერთი სოფელი იყო ჯიხანიში, სადაც მსგავსი გიმნაზია არსებობდა. შემოგვრჩა სურათი, სადაც ამ გიმნაზიის პირველ გამოსწავლასთან ერთად ფოტოზე აღბეჭდილია ოღონდ გურამიშვილი. ეს გიმნაზია იმითაც არის მნიშვნელოვანი, რომ აქ პოლიტიკური სწავლება შემოიღო ოღონდ გურამიშვილმა, რაც მიზნად ისახავდა ახალგაზრდებში მამულის ქმედითი სიყვარულის გაღვივებას. ამ გიმნაზიისთვის ნიკომ ევროპიდან ჩამოიტანა თეორი აბრეშუმის გაუმჯობესებელი თესლი, ბამბის საპენტი მანქანა აყიდინა მის სიძეს პარაზში, შემდეგ ოციან წლებში ისევე დიდ ჯიხანიშვილებმა, მამინდელმა კომპანიაში დაარბიეს ნიკოლაძეთა მამული და წაიღეს მთელი ქონება. ეს ბამბის საპენტი მანქანაც ხელს გაყვა”. – განაცხადა ქალბატონმა ლიამ. მან მოგვანებოთ ამ მანქანას ქუთაისის ისტორიული მუზეუმის საწყობში მიაკვლია. ამ მუზეუმს მი-

სი განსათავსებელი ადგილი არ აქვს და გამოსვლაში სთხოვა მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელებს, დაეხმარონ, რომ ეს საპენტი მანქანა ნიკო ნიკოლაძის მუზეუმში გადმოიტანონ, საგანგებო საცავში მოთავსდეს და შემდეგ ის დამთავლებულბა ნახონ.

ქალბატონი ლია მთელს დაყენებულ ამ საკითხს თავის გამოსვლაში მუნიცი-



პალიტეტის გამგებლის მოადგილე, ლიზა კრავეიშვილიც გამოეხმაურა. მან ბრძანა:

“მალიან მიხარია, რომ ამ შესანიშნავ ღონისძიებას ვესწრები, მისასალმებელია, რომ ახალგაზრდები ასე აქტიურად არიან მასში ჩართული. მისი ნაღვაწი, ნაფიქრი ახლაც აქტუალურია. ჩვენს ქვეყანას პრობლემები რომ აქვს ამა თუ იმ სფეროში, გვაინტერესებს, რას გვეტყვის ევროპა, რას ფიქრობენ რუს-

მეების უკვდავებზე ისაუბრა. ასევე ემოციური იყო საბიბლიოთეკო ღონისძიებათა ხშირი და აქტიური სტუმრის, კობა ძიძიგურის გამოსვლა. ბატონმა კობამ კიდევ ერთხელ მოუხადა მადლობა ამ საინტერესო ღონისძიების მომწოდებელს და აღნიშნა, რომ უდიდესი მოღვაწის ღვაწლი მომავალში თაობებმა ჯეროვნად უნდა შეათვინონ.

სალამო შესანიშნავად გააფორმა ფოლკლორულმა ანსამბლმა “ალილომ”, რომლის ხელმძღვანელი ქალბატონი მადონა კონხეიძეა.

სიტყვით გამოვიდა ბატონი გიგანტი ბიბილეიშვილი, რომელიც იყო ინიციატორი კე-



თილმობილური საქმისა. მისი ძალისხმევით 1976 წლის 29 სექტემბერს ჩატარდა სოფელ დიდ ჯიხანიშვილში საზოგადო მოღვაწის ხსოვნისადმი მიძღვნილი “ნიკოლის” დღესასწაული. მას შემდეგ დღესასწაული ყოველწლიურად ტარდება. “დღეს სწორედ რომ საჭიროა ასეთი ღვაწლმოსილი ადამიანების წარმოჩენა. მადლობა ამ ღონისძიების მომწოდებელს, ხშირად უნდა სტუმრობდნენ დამთავლებულები დიდ ჯიხანიშვილს დიდი ნიკოს მუზეუმს, დაუჯერებელია, ერთ შესვლაზე აიღოს დამთავლებულმა ის, რაც შესაძლებელია ხშირი კონტაქტით მიიღოს. ჩვენ უნდა მივბრუნდეთ წარსულსავე, ყოველი “ნიკოლა”, სახელმწიფო რანგში იყო აყვანილი, ჩვენთან ჩამოდიდნენ მეცნიერები, დოქტორანტები, ისევე როგორც დიდი ნიკო, დიდი ჯიხანიშვილს არის დიდი”. – ბრძანა თავის გამოსვლაში ქალბატონმა ნათელა გელეიშვილმა.

სიახლის დამწერგავი, გრანდიოზული პრაქტიკული გეგმების მქონე ევროპული მასშტაბის მოაზროვნე, რომლის ინტელექტს სიბრძნეც ვერაფერი დააკლო, მართლაც რომ შესანიშნავად გაიხსენეს:

“სიყვარულივით ყველასავე ფართო გზა ჰქონდა, უვლიდა ხეხილს, აფხიზლებდა თიხით ყანასაც, დამით ქალაქზე სტრიქონების კვალი გაჰქონდა

და გაზეთებით საუბრობდა მთელს ქვეყანასთან” – ეს დიდი ჯიხანიშვილს მკვიდრის, პოეტ გიორგი კაჭახიძის მიერ დიდი ნიკოსადმი მიძღვნილი ლექსის სტროფებია.

ერთ-ერთი პოეტის ლექსი რუსულიდან თარგმნა და წაიკითხა მე-4 საჯარო სკოლის პედაგოგმა ფოთოლა ჩიქობავამ. ლექსი პოეტმა იმ ლარიშის კედარს უძღვნა, რომლის რტობსაც ათწლეულები ამძიმებს, რომელიც ვაგზლის მოედანზე დგას, იგი დიდმა ნიკომ ჩამოიტანა სამტრედიამში და თურმე დღეს წითელ წიგნშია შეტანილი.

მომავალ წელს ნიკო ნიკოლაძის სახლ-მუზეუმს დაარსებიდან 65 წელი უსრულდება. ამჟამად სახლ-მუზეუმში სარემონტო სამუშაოები მიმდინარეობს. ქალბატონმა ლია ბიბილეიშვილმა აღნიშნა, რომ რემონტის დაწყების საქმეში მავორიტარ გიორგი კახიანს, მერაბ კაჭახიძეს და რამდენიმე დეპუტატს დიდი წვლილი მიუძღვით. ღონისძიებაში ასევე მონაწილეობდნენ მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლების მოსწავლეები. ჩვენი უმცროსი კოლეგა, მხატვარ-კარიკატურისტი შოთა პაპავა, მარიამ და ქეთი აბრამიშვილები, შოთა კანდელაკი, ნიკა კურდულია და ბესო კახიანი.



ლევან გაბეჩავა

## ჩვენ მსწავლობთ ბიბლიას

ესწავლობთ, რათა უფრო ახლოს მივიდეთ ღმერთთან, ვირწმუნოთ მისი ყოველისშემძლეობა. უკვე ტრადიციად დამკვიდრდა ყოველი თვის ბოლო ოთხშაბათს, მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკაში ბიბლიის გაკვეთილების ჩატარება, რომელსაც დეკანოზი ანტონი (ვაშაყიძე) უძღვეს.

28 ოქტომბერსაც ხალხმრავლობა იყო სამკითხველო დარბაზში. ერთი წმინდა სახითელი და მამა ანტონიც ჩვეული სიძინჯით, მკაფიო არგუმენტებით საუბრობდა სიყვარულის კაცობრიობის უდიდესი ფასეულობის შესახებ და თავისთავად ურთიერთსიყვარულისაკენ მოუწოდებდა საზოგადოებას, დარბაზში მსხდომთ.

როგორც ქადაგებისას, ამჯერადაც უხვად ციტირებდა მოძღვარი, წმინდანთა, განმანათლებელთა შეგონებებს, თითოეულმა რომ უნდა შევიმეცნოთ, გავისივრძეოთ.

მე თქვენ მიყვარხართ, საოცარი გულწრფელობით მიმართა დეკანოზმა ანტონმა შეკრებილთ და მათაც ერთსულოვნად დაუდასტურეს თავიანთი სიყვარული და პატივისცემა მოძღვარს.

შეკრებილია სახელით მამა ანტონის მადლობა მუნიციპალიტეტის ბიბლიოთეკის დირექტორმა, ქალბატონმა ლამარა დუნდუამ მოახსენა.

ჩვენ ესწავლობთ ბიბლიას...

## მადლობა

დამსახურებულ პენსიონერს, საერთო საქმეზე უნებაროდ შეგვარებულს, ჭეშმარიტ მოქალაქეს ბატონ ზაურ ხაბეიშვილს უღრმესი მადლობა გვინდა გადავუხადოთ თქვენი განეთის საშუალებით, რომელსაც ყოველთვის გულდასმით და სიყვარულით კითხულობს.

ბატონი ზაურ! თქვენ რეინის ქალამნები ჩაიცვით, მომსვლელ სტუმარს თუ დამხდურს, ყველას სთხოვდით და ავალდებულებდით დაგმარებოდით, რათა დაწვებულიყო მდინარე რიონის სანაპიროს ჯვების გამაგრება. თქვენ ეს შეძელით! ბედნიერი მოდიხართ და ამოწმებთ თქვენი გაკეთებული სამედიცინო საქმის მიმდინარეობას. მადლობა თქვენ!

კახიანიშვილის და სიყვარულით სოფელ საჯარო სკოლის მოსწავლეების სახელით ნათი ნაცვლიძე

**კულოვანი!**  
ჩვენი საყვარელი, ჩვენზე მზრუნველი ციცი ბებო, დაბადების დღეს გილოცავთ, იხარეთ და იღვებოდეთ, უფალმა გაგაძლიეროთ!  
კეთილი სურვილებითა და დიდი სიყვარულით.  
**ლევან და მარა**  
**ბიბილეიშვილი**

